

შპს „ორიონის“
ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით მდგომარეობით

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	2
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	5 დან

შპს ორიონის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

	31-Dec-19	31-Dec-18
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	839	14 271
სავაჭრო მოთხოვნები	535 475	752 728
გადახდილი ავანსები	500 705	820 414
მარაგები	1 431 465	1 881 671
სხვა	8 136	4 088
სხვა მიმდინარე აქტივები	322 551	150 195
სულ მიმდინარე აქტივები	2 799 172	3 623 367
ძირითადი საშუალებები	2 318 338	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	892 000	480 000
სულ გრძელვადიანი აქტივები	3 210 338	2 863 431
სულ აქტივები	6 009 510	6 486 798
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	1 347 790	495 718
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	16 908	16 974
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	4 143 445	4 126 799
საგადასახადო ვალდებულებები	0	0
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	433	1 818
მიმდინარე ვალდებულებები	5 508 576	4 641 310
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	689 373	1 345 534
სხვა ვალდებულებები	0	0
გრძელვადიანი ვალდებულებები	689 373	1 345 534
სულ ვალდებულებები	6 197 949	5 986 844
კაპიტალი		
შპს კაპიტალი	2 200	2 200
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	-190,639	497 755
მთლიანი კაპიტალი	-188 439	499 955
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი	6 009 510	6 486 798

შპს ორიონის დირექტორი

დიმიტრი თოიძე

შპს ორიონის დირექტორი

ნუგზარ წიტიშვილი

შპს ორიონის

სრული შემოსავლისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2019 წელი	2018 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან და მომსახურებიდან	10 832 236	15 657 121
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(10 303 143)	(14 901 635)
საერთო მოგება	529 093	
ხელფასის ხარჯი	(258 721)	(254 129)
იჯარის ხარჯი	(2 308)	(2 034)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(65 093)	(58 858)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(132 523)	(214 807)
საოპერაციო მოგება	70 447	225 657
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	23 111	47 764
საპროცენტო ხარჯი	(405 415)	(340 388)
წმინდა შემოსავალი/ზარალი კურსთაშორის	(376 538)	(133 779)
სხვაობიდან		
მიღებული დივიდენდი	0	0
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(0)	(16 787)
დაბეგვრამდე მოგება/ზარალი	(688 394)	(217 532)
მოგების გადასახადი	0	0
წმინდა მოგება/ზარალი	(688 394)	(217 532)

შპს ორიონის დირექტორი

დიმიტრი თოიძე

შპს ორიონის დირექტორი

ნუგზარ წიტაიშვილი

შპს ორიონის
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის
 მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

	მფლობელთა კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ ზარალი	სულ
1-Jan-19	2 200	499 955	717 487
შენატანები კაპიტალში			0
პერიოდის შემოსავალი		(688,394)	(190,639)
გადახდილი დივიდენდი		(0)	(0)
31-Dec-19	2 200	(188,439)	499 955

შპს ორიონის დირექტორი

დიმიტრი თოიძე

შპს ორიონის დირექტორი

ნუგზარ წიტიშვილი

შპს ორიონის
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

(თანხები მოცემულია
ლარში)

1. ინფორმაცია „კომპანიის“ შესახებ

შპს „ორიონი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 1995 წლის 28 დეკემბერს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 211359689, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, აკაკი წერეთლის გამზირი, N77. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

კომპანიის წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

60% დიმიტრი თოიძე (პ.ნ.33001012425),

40% ნუგზარ წიტიშვილი (პ.ნ.01014000721)

კომპანიის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა:

დირექტორი - 33001012425, დიმიტრი თოიძე

დირექტორი - 01014000721, ნუგზარ წიტიშვილი

კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობის სფეროა საცალო და საბითუმო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით (არმატურა და გლინულა რკინა-ბეტონის კონსტრუქციისთვის).

საქართველოს მასშტაბით „კომპანია“ ფლობს ერთ ობიექტს, რომელიც არის კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება.

კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

კომპანიაში ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციის მიზნით დანერგილია ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიები, კერძოდ ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა

„SUPER FIN” (ქსელურ ვერსიაში). პროგრამაში უზრუნველყოფილია ოპერაციების სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა ბუღალტრული ანგარიშების მიხედვით.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის გათვალისწინებით. აღრიცხვა- ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელოს, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

„კომპანია“ თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს საგადასახადო კოდექსით.

კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

სამუშაო ვალუტა

„კომპანიის“ სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც „კომპანია“ ეწევა საქმიანობას. გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების კაპიტალური რემონტის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ „კომპანია“ შედეგად მიიღებს თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ შესაძლებელია მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში. ასევე ობიექტური აუცილებლობის შემთხვევაში, ხდება მათი გადაფასება მსს ფასს მე- 17 განყოფილების მოთხოვნათა დაცვით.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება. ცვეთის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი. ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 40 წელი;
 მანქანა-დანადგარები - 18-20 წელი;
 კომპიუტერული ტექნიკა - 5 წელი;
 ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;
 სატრანსპორტო საშუალებები - 15-20 წელი;
 სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

აღიარების შეწყვეტა

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება:

(ა) გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან
 (ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსს ფასს სტანდარტის მე-20 განყოფილება

—

„იჯარა“ - მოითხოვს განსხვავებული მიდგომის გამოყენებას, აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვის შემთხვევაში). ასეთი სახის შემოსულობას არ ენიჭება ამონაგების კლასიფიკაცია.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა (თუ ასეთი არსებობს) და მის საბალანსო ღირებულებას შორის.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით.

შეზღუდული სარგებლობის ვადის მქონე არამატერიალური აქტივებს ცვეთა ერიცხებათ წრფივი მეთოდით მომსახურების პერიოდის გათვალისწინებით. განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ამორტიზაცია ერიცხება ასევე წრფივი მეთოდით. ამასთან, სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ცალკეული აქტივისათვის ინდივიდუალურად საუკეთესო შეფასების საფუძველზე იმ წინაპირობით, რომ ეს ვადა არ აღემატება 10 წელს.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილ მეთოდს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, დამუშავების ხარჯს, სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

ფინანსური ინსტრუმენტები

მსს ფასს მე-11 განყოფილების 11.2 (ბ) პუნქტის შესაბამისად, კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვას აწარმოება ბასს 39-ის მიხედვით.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ბასს (IAS) 39-ის მიხედვით, ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები.

ყველა ფინანსური აქტივის აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები იმ თარიღისთვის, რომლითაც „კომპანია“ გახდა ინსტრუმენტთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების მხარე.

აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იჭურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი სახსრების ნაკადების მიღებაზე ან როდესაც გადასცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებას ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღებაზე ისეთი გარიგების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ამ ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკისა და სარგებელის გადაცემა ხდება. ნებისმიერი მონაწილეობა გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც „კომპანიამ“ შექმნა ან შეინარჩუნა აღიარდება ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები ბასს (IAS) 39-ის შესაბამისად კლასიფიცირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები.

„კომპანია“ თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

„კომპანიის“ ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც მიეკუთვნება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას, მოიცავს სესხებსა და გადასახდელ ანგარიშებს და სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას.

აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება მიიჩნევა საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩათვლა ხორციელდება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც „კომპანიას“ აქვს სამართლებრივი უფლება მოახდინოს

ურთიერთჩათვლა და აპირებს განახორციელოს ურთიერთგაქვითვა ნეტო საფუძველზე, ან ერთდროულად მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

სამართლიანი ღირებულებით შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომლის მიღება შესაძლებელია აქტივის გაყიდვის შემთხვევაში ან რომელიც გადახდილი უნდა იყოს ვალდებულების გადაცემის შემთხვევაში ჩვეულებრივი გარიგების დროს ბაზრის მონაწილეთა შორის, შეფასების თარიღის მდგომარეობით. სამართლიანი ღირებულების შეფასება ეფუძნება ვარაუდს, რომ აქტივის გაყიდვასთან ან ვალდებულებების გადაცემასთან დაკავშირებულ გარიგებას ადგილი აქვს:

აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან
ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისათვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

როგორც ძირითადი, ისე ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ხელმისაწვდომი უნდა იყოს

„კომპანიისათვის“. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები

სესხებთან დაკავშირებული ყველა სხვა ხარჯი აისახება მათი გაწევის პერიოდში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები შედგება პროცენტისგან და სხვა დანახარჯებისგან, რომლებსაც „კომპანია“ გაიღებს სესხის მისაღებად.

გადასახადები

მოგების მიმდინარე გადასახადი

ზოგადად მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ თანხას. ამ თანხის გამოსათვლელად გამოიყენება ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი საგადასახადო განაკვეთები და კანონები. 2017

წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებული ე.წ. „ესტონური“ მოდელის შესაბამისად

საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები. მოგების მიმდინარე გადასახადის გადახდის ვალდებულება „კომპანიას“ არ გააჩნია და იგი დაბეგვრას ახორციელებს კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა:

თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს.

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ დაგრძელვადიანად.

„კომპანია“ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;

ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;

მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში; ან აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა სხვა აქტივი გრძელვადიანია.

მოთხოვნები დებიტორების მიმართ :

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. შესაბამისად კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები თავდაპირველად აღიარდება საქონლის გასაყიდი ფასის ოდენობით.

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები წარმოიშვება ჩვეულებრივ სავაჭრო ურთიერთობაში ზეპირი გარიგების შედეგად და მათი ოდენობა განისაზღვრება ვაჭრობის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

გადახდილი ავანსები:

კომპანიის გადახდილი ავანსები წარმოადგენს წინასწარ გადახდილ თანხებს საქონლის შესყიდვის ან მომსახურების მიღების მიზნით და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საოპერაციო ხარჯებს.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების რეზერვი

დებიტორული დავალიანების რეზერვი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მომხმარებელი ვერ აკმაყოფილებს გადახდის ვალდებულებებს, რასაც უმეტეს შემთხვევაში საფუძვლად უდევს აღნიშნული მომხმარებლის ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების არსებობა.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ სამუშაო რეჟიმში;
ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ
თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას „კომპანია“ გრძელვადიან კატეგორიას
მიაკუთვნებს.

მსს ფასს -თან პირველადი ადაპტაცია:

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანიას არ მოეთხოვებოდა ფინანსური
ანგარიშგებების მომზადება და მას არ მოუმზადებია ისინი წინა პერიოდებში.
ამიტომ შედარება და ახსნა იმისა, თუ როგორ გავლენას იქონიებს წინა სააღრიცხვო
პრაქტიკიდან მსს ფასს-ზე გადასვლა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე,
მომგებიანობასა და ფულად ნაკადებზე, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში
მოცემული არ არის. მსს ფასს-ზე გადასვლამდე კომპანია ახდენდა ისეთი
სააღრიცხვო პოლიტიკების შემუშავებას, რომლებიც ეფუძნებოდა საგადასახადო
რეგულაციებს თუმცა მაქსიმალურად ახლოს იყო მსს ფასს-თან და მსს ფასს
სტანდარტის პრინციპებთან.

მსს ფასს-ზე კომპანიის გადასვლის თარიღია 2018 წელი.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური
გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677ლარი;

1 EUR=3.2095ლარი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6468 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
ნაღდი ფული საღაროში	803.24	159.06
ლარი საბანკო ანგარიშებზე	23.16	13896.29
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	0.00	206.39
ევრო საბანკო ანგარიშებზე	12.39	9.21
სულ:	839	14 271

3.2. სხვა გრძელვადიანი აქტივი

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
სხვა გრძელვადიანი აქტივი	892000	480000
სულ:	892000	480000

3.3. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები საქონლის გაყიდვიდან	535 475	752 729
სულ:	535 475	752 729

2019 წლის ბოლოსათვის, კომპანიას სავაჭრო ვალეები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების დავალიანება, რომელიც დაიფარება უახლოესი 1 წლის მანძილზე.

3.4. გადახდილი ავანსები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი თანხები	0	0
არარეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი თანხები	500 705.47	820 413.62
სულ:	500 705.47	820 413.62

3.5. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
გასაყიდი საქონელი	1 431 465.49	1 881 670.95
საწვავ-საცხები მასალები	8 135.58	4 088.41
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	0	0
სულ:	1 439 601.07	1 885 759.36

3.6. სხვა მიმდინარე აქტივები:

	ნაშთი 31.12.2019	ნაშთი 31.12.2018
	მდგომარეობით	მდგომარეობით
საღდირებული საბიუჯეტო გადასახადი	322 312.65	149 929.5
წინასწარ გაწეული ხარჯები	239.02	265,16
სულ:	322 551,67	150 195

3.7. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	2019 წელი ზრდა /შემცირება	2019 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
მიწა	590 000	0	0	590 000
შენობა-ნაგებობები	1 247 112.50	0	32 818.75	1 279 931.25
მანქანა- დანადგარები	20 829.23		1 901.95	22 731.18
კომპიუტერები და აღჭურვილობა	7 486.7		698.77	8 185.47
ავიჯი და სხვა ინვენტარი	16 891.68		3 825.31	20 716.99
სატრანსპორტო საშუალებები	436 018.01		25 848.38	461 866.39
სულ:	2 318 338.12		65 093.16	2 383 431.28

3.8. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობი თ	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობი თ
სავაჭრო დავალიანება მომწოდებლების მიმართ	529 868.43	330 174.71
მიღებული ავანსები	817 921.78	165 543.47
სულ:	1 347 790.24	495 718,18

3.9. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობი თ	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობი თ
მიღებული მოკლევადიანი სესხი	4 143 445,24	4,126,799
სულ:	4 143 445,24	4,126,799

3.10. საგადასახადო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
მიმდინარე საგადასახადო დავალიანება		0
სულ:	0	0

3.11. გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
„ხალიკ ბანკის“ სესხი (USD)	689 373,69	1,345,534
სულ:	689 373,69	1,345,534

3.12. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
წესდებით დადგენილი კაპიტალი	2200	2200
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	-190 638.54	497,755
სულ:	-188 438.54	499,955

3.13. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

3.14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2019 წელი	2018 წელი
ქონების გადასახადის და სხვა საგადასახადო ხარჯები	20557.12	89163.09
ავტოტრანსპორტის საექსპლუატაციო ხარჯები და რემონტი	15723.86	20338.19
სადაზღვევო ხარჯი	28656.86	37439.77
საოფისე ხარჯები	12861.95	8343.44
საკომუნიკაციო ხარჯები	6168.70	7369.98
საბანკო ხარჯები	17609.96	21513.81
კომუნალური ხარჯი	5313.64	4933.5
სამივლინებო ხარჯი		14422.64
საშუამავლო მომსახურება		10 098.17
საწვავის ხარჯი	25579.95	
სატრანსპორტო ხარჯები		1186.44
სულ	132522.89	214,809

3.15. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

2019 წელს კომპანიას არ ჰქონდა მოგების გადასახადის ხარჯი.

3.16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 30 სექტემბერს.

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი
ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს ორიონის დირექტორი

დიმიტრი თოიძე

შპს ორიონის დირექტორი

ნუგზარ წიტიშვილი

შპს ორიონის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

	31-Dec-19	31-Dec-18
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	839	14 271
სავაჭრო მოთხოვნები	535 475	752 728
გადახდილი ავანსები	500 705	820 414
მარაგები	1 431 465	1 881 671
სხვა	8 136	4 088
სხვა მიმდინარე აქტივები	322 551	150 195
სულ მიმდინარე აქტივები	2 799 172	3 623 367
ძირითადი საშუალებები	2 318 338	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	892 000	480 000
სულ გრძელვადიანი აქტივები	3 210 338	2 863 431
სულ აქტივები	6 009 510	6 486 798
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	1 347 790	495 718
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	16 908	16 974
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	4 143 445	4 126 799
საგადასახადო ვალდებულებები	0	0
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	433	1 818
მიმდინარე ვალდებულებები	5 508 576	4 641 310
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	689 373	1 345 534
სხვა ვალდებულებები	0	0
გრძელვადიანი ვალდებულებები	689 373	1 345 534
სულ ვალდებულებები	6 197 949	5 986 844
კაპიტალი		
შპს კაპიტალი	2 200	2 200
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	-190,639	497 755
მთლიანი კაპიტალი	-188 439	499 955
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი	6 009 510	6 486 798

შპს ორიონის დირექტორი

შპს ორიონის დირექტორი



დომიტრი თოიძე

ნუგზარ წიტიშვილი

შპს ორიონის
სრული შემოსავლისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2019 წელი	2018 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან და მომსახურებიდან	10 832 236	15 657 121
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(10 303 143)	(14 901 635)
საერთო მოგება	529 093	
ხელფასის ხარჯი	(258 721)	(254 129)
იჯარის ხარჯი	(2 308)	(2 034)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(65 093)	(58 858)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(132 523)	(214 807)
საოპერაციო მოგება	70 447	225 657
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	23 111	47 764
საპროცენტო ხარჯი	(405 415)	(340 388)
წმინდა შემოსავალი/ზარალი კურსთაშორის	(376 538)	(133 779)
სხვაობიდან		
მიღებული დივიდენდი	0	0
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(0)	(16 787)
დაბეგვრამდე მოგება/ზარალი	(688 394)	(217 532)
მოგების გადასახადი	0	0
წმინდა მოგება/ზარალი	(688 394)	(217 532)

შპს ორიონის დირექტორი

შპს ორიონის დირექტორი



დimitრი თოიძე

ნუგზარ წიტიშვილი

შპს ორიონის
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

	მფლობელთა კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ ზარალი	სულ
1-Jan-19	2 200	499 955	717 487
შენატანები კაპიტალში			0
პერიოდის შემოსავალი		(688,394)	(190,639)
გადახდილი დივიდენდი		(0)	(0)
31-Dec-19	2 200	(188,439)	499 955

შპს ორიონის დირექტორი

შპს ორიონის დირექტორი



დიმიტრი თოიძე

ნუგზარ წიტიშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი
ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს ორიონის დირექტორი

დიმიტრი თოიძე

შპს ორიონის დირექტორი

ნუგზარ წიტიშვილი

